ავტორი: მურმან მარგველაშვილი

ნამახვანჰესის გაკვეთილები

წარსული მოვლენების სათანადოდ გააზრება და დასკვნების გამოტანა დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ჯერ კიდევ არ გვაქვს შესწავლილი ეროვნული მოძრაობის, სამოქალაქო ომების, გარე და შიგა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული წარმატების ან მარცხის გაკვეთილები. მოკლევადიანი პოლიტიკური დღის წესრიგი ხელს უშლის ობიექტური შეფასებების გაკეთებას, ხოლო მოგვიანებით წარსული მოვლენები დავიწყებას ეძლევა. წარსულის ანალიზისა და გაკვეთილების გამოტანის მექანიზმების გარეშე კი საზოგადოება განწირულია შეცდომების გამეორებისა და ერთ წრეზე ტრიალისთვის. ჩვენც სწორედ ამ მდგომარეობაში ვართ.

მაგალითად ენერგეტიკაც გამოდგება, უფრო კონკრეტულად კი ბოლო მარცხი – ნამახვანჰესის პროექტის ჩაშლა (რასაც ბევრი საერთო აქვს მანამდე ხუდონჰესისა და ნენსკრაჰესის პროექტების გაჩერებასთან). მიუხედავად იმ უდიდესი ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური ზიანისა, რაც აღნიშნული ჰესების მშენებლობის ჩაშლას მოჰყვა, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი არ განხილულა საჯაროდ, აკადემიურ თუ დარგობრივ პროფესიულ და პოლიტიკურ წრეებში. არ ყოფილა სათანადო შეფასება და სამომავლო დასკვნები რომელიმე საჯარო უწყებისგან. შესაბამისად, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაც შეიძლება ისე ჩაიკარგოს, რომ არაფერი გვასწავლოს.

ქვემოთ ვეცდებით, გადავდგათ ნაბიჯი ამ საკითხის უფრო სიღრმისეული ანალიზისკენ და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამსჯელოდ შევთავაზოთ ის სისტემური მიზეზები, რამაც დამდგარი შედეგი განაპირობა. აქ არ შევუდგე-

მურმან მარგველაშვილი “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის” (WEG) დირექტორი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

ბით პროექტის ავკარგიანობის ან მხარეების არგუმენტების გარჩევას და არ შევეხებით ინვესტორის ქმედებებს, რაც ცალკე განხილვას იმსახურებს. ასევე არ გავიხსენებთ მაგალითებს მოყვანილი შეფასებების გასამყარებლად, რადგან ეს სრულიად განსხვავებულ ფორმატს მოითხოვს. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული საკითხები სპეციალისტების უფრო ღრმა კვლევის საგანი გახდება.

მდგრადი განვითარების პარადიგმა

ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე მუშაობა, თუმცა მხოლოდ ბრძოლას განვითარება არ მოაქვს. ეს დაგვანახა თანამედროვე საქართველოს ისტორიამ, როდესაც საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ მძლავრ პროტესტს ვერ მოვაყოლეთ სათანადო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და დღემდე დონორული დახმარების ანაბარა და განგრძობადობის გარეშე ვართ დარჩენილი უამრავი სტრატეგიული მიმართულებით. მუშაობას პასუხისმგებლობა და ცოდნა ესაჭიროება, მაშინ როდესაც ბრძოლაში ყველა ხერხი დასაშვებია და პასუხისმგებლობაც „მოწინააღმდეგეს“ ეკისრება.

ქვეყნის უსაფრთხოება, დამოუკიდებლობისა და ღირსების შენარჩუნება ეკონომიკურ ზრდას და ინფრასტრუქტურულ განვითარებას მოითხოვს. განვითარების პროგრამები და კონკრეტული პროექტები კი გარემოზე მოქმედებს და, როგორც წესი, იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ჯანსაღ საზოგადოებას უნდა გააჩნდეს მექანიზმები, რომ ეს სხვადასხვაობა დაპირისპირებასა და ბრძოლაში არ გადაიზარდოს და ქვეყანა განვითარების გზიდან არ გადაიყვანოს.

მდგრადი განვითარების პარადიგმა გულისხმობს, რომ განვითარება მოხდეს ეკონომიკური, გარემოს და სოციალური ფაქტორების დაბალანსებით, რაც მიიღწევა დაინტერესებული მხარეების დიალოგით. დიალოგს, გარდა ოპტიმალური გადაწყვეტისა, მოაქვს თანამშრომლობის და საზოგადოების კონსოლიდაციის გამოცდილებაც, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია რთულ გარემოში მყოფი სუსტი სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა. კონსტრუქციულ დიალოგს რამდენიმე აუცილებელი პირობა უძღვის წინ:

- **დიალოგი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მხარეებს, თუნდაც ყველაზე ძირეულ საკითხებზე, გაზიარებული პოზიციები და ხედვები აქვთ. ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თუ ქვეყნის სხვა სტრატეგიულ ინტერესებთან დაკავშირებით საერთო პლატფორმის ქონის გარეშე შეუძლებელია თანამშრომლობა და კომპრომისების მიღწევა.**
- **დიალოგის აუცილებელი პირობაა მხარეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მოკლევადიან პირად ან უწყებრივ/პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესების დაყენება, რაც განაპირობებს დიალოგისა და კომპრომისისთვის მზაობას. სხვანაირად გარდაუვალია არა მხოლოდ კონკრეტული პროექტებისთვის, არამედ საზოგადოების ქსოვილისთვის ზიანის მიყენება და პოლარიზება.**
- **განსხვავებული შეხედულებისა და ინტერესების მატარებელ მხარეებს სასურველია, ჰქონდეთ განსახილველი საკითხების საბაზისო ცოდნა. შეუძლებელია, რომ ისინი სრულად იყვნენ გაცნობიერებული ტექნიკის, ეკონომიკის, პოლიტიკის, გარემოს და სხვა პროექტთან დაკავშირებულ საკითხებში. ამიტომ განხილვის და თუნდაც კამათის დროს უნდა დაეყრდნონ პროფესიონალებს, რომლებმაც ავტორიტეტული და ობიექტური პროფესიული ცოდნის საფუძველზე დასაბუთებული და სარწმუნო ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მხარეებს.**
- **დიალოგი მოითხოვს ფორმალური წესებისა და ქცევის სტანდარტების დაცვას. აუცილებელია დადგენილი პროცედურების ფარგლებში საჯარო განხილვების რეგლამენტისა და ეთიკური ნორმების პატივისცემა, რაც დიალოგს შესაძლებელს გახდის. სახელმწიფომ უნდა შექმნას საჯარო განხილვების ჩატარების სათანადო პირობები და უზრუნველყოს რეგლამენტის დაცვა.**

სამწუხაროდ, ნამახვანჰესის შემთხვევაში თითქმის ყველა ხსენებული პირობა დაირღვა. შედეგად, ისევე როგორც მანამდე ხუდონის თუ ნენსკრას ჰესების შემთხვევაში, კონსტრუქციული პროცესის ნაცვლად წარიმართა მწვავე დაპირისპირება, სადაც შუალედური პოზიციები და განსხვავებული აზრები არ მიიღებოდა, რასაც მოჰყვა პროექტის იძულებით შეჩერება. ბრძოლაში დაიხარჯა უამრავი რესურსი და დრო, მოხდა საზოგადოების პოლარიზება, სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება, პროფესიული და აკადემიური წრეებისა და ინსტიტუტების დისკრედიტაცია, ქვეყანას მიადგა ენერგეტიკული, ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების ზიანი, არ გაუმჯობესდა რეგიონში სო-

ციალური მდგომარეობა. ამის საპირწონედ კი დაუზუსტებელი გარემოსდაცვითი სარგებელი მივიღეთ.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ძირითად ფაქტორებს – რამაც, ჩვენი აზრით, ეს შედეგი განაპირობა – იმ იმედით, რომ ხელს შევუწყობთ მომავალში ამ საკითხების უფრო სიღრმისეულ ანალიზს და საბოლოოდ გამოსავლების მოძიებას.

სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის დეფიციტი

მთავრობა პასუხისმგებელია ქვეყნის განვითარებასა და ენერგოუზრუნველყოფაზე, რისთვისაც შესაბამისი ბერკეტები აქვს გადაცემული. მან უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის სტრატეგიული ხედვა, უზრუნველყოს მიმზიდველი პროფესიული და საინვესტიციო გარემო, სწორად შეარჩიოს ინვესტორები და უზრუნველყოს პროცესების მართვა სასურველი შედეგის მისაღწევად. წარუმატებლობის შემთხვევაში, სათანადო შეფასების საფუძველზე, იზრუნოს ხარვეზების გამოსწორებაზე და არა პასუხისმგებლობის პროტესტის მონაწილეებისთვის გადაბრალებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების მოვალეობაა მიმდინარე პროცესების კონტროლი. გარემოსდამცველი აქტივისტების უფლებაა, დღის წესრიგში დააყენონ საკითხები და იბრძოლონ მათი გადაწყვეტისთვის, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპის დაცვით. მათი პასუხისმგებლობაა, ჩაერთონ საგნობრივ დიალოგში და გარემოს დაცვა არ გადააქციონ ქვეყნის განვითარების და უსაფრთხოების წინააღმდეგ ბრძოლად.

სამეცნიერო და პროფესიულ წრეები უნდა მუშაობდნენ ქვეყნისთვის აქტუალურ საკითხებზე და მზად იყვნენ მიუკერძოებელი და სანდო ინფორმაციის წარმოსადგენად. მათი პროფესიონალური რეპუტაცია და სამეცნიერო/კვლევით პროცესზე დაყრდნობილი ინფორმაცია თავისი ობიექტურობით და სისწორით საზოგადოებრივ კონსენსუსს უნდა უწყობდეს ხელს და არა – დაპირისპირებას.

სამწუხაროდ, ნამახვანჰესის პროცესებში არცერთი მხარე არ აღმოჩნდა სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო თუ პროფესიული პასუხისმგებლობების სიმაღლეზე და თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე სათანადოდ ვერ შეასრულა. დიალოგის ნაცვლად მივიღეთ ბრძოლა და მძიმე შედეგი, რასაც, სავარაუდოდ, ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზები განაპირობებს.

საერთო ფასეულობებისა და მიზნების დეფიციტი

კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ არა გვაქვს ქვეყნის განვითარებისა და ინტერესების გამაერთიანებელი სტრატეგიული ხედვა, მათ შორის – ენერგეტიკაში. არ ვართ ჩამოყალიბებული იმაზე, თუ რა ზომით გვინდა, ვიყოთ მოჩუხჩუხე მდინარეებისა და ველური ტურიზმის ქვეყანა, და რა ზომით – ტექნოლოგიურად განვითარებული მდიდარი საზოგადოება, საკუთარი ინდუსტრიითა და უსაფრთხოების მაღალი ხარისხით. საკმარისად არ გვიმუშავია იმაზე, რომ შევახამოთ ეს ინტერესები და შევქმნათ დამაჯერებელი გრძელვადიანი სტრატეგიები და გეგმები სათანადო ენერგეტიკული კომპონენტით. უმრავლესობის მხარდაჭერილი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაც ლოზუნგების დონეზეა და არ გვაქვს გაცნობიერებული ამისთვის საჭირო ეკონომიკური, უსაფრთხოების, გარემოს და სოციალური დაცვის სტანდარტები, მათი სარგებელი და უზრუნველსაყოფად საჭირო მექანიზმები. შედეგად ვიღებთ აზრთა პოლარიზებას, მთავრობის ქმედებათა არადამაჯერებლობას, პროტესტის მონაწილეთა ცალმხრივ, საზიანო მოთხოვნებს და საზოგადოების დაბნეულობას.

გამჭვირვალობის ნაკლებობა და შესაძლო ფარული ინტერესები

პროექტების გაცემის არასაკმარისი გამჭვირვალობა აჩენს ეჭვებს, რომ გადაწვეტილების მიმღებნი შესაძლოა, ამ გზით პირად სარგებელს იღებენ. ნამახვანჰესის შემთხვევაში ეს უნდობლობა ვერ გაბათილდა იმ არგუმენტებით, რომ ინვესტორი ღია ტენდერის საფუძველზე შეირჩა მრავალ კანდიდატს შორის. დარჩა კითხვები ხელშეკრულების პირობების მიმართ. ცხადად გაწერილი პრინციპებისა და პროცედურების გარეშე, მაინც ძნელი ასახსნელია, თუ რამდენად გამართლებული და აუცილებელია ინვესტორისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული კონკრეტული პირობები. აუცილებელია ამ მხრივ მკაფიო წესების არსებობა და შესრულების კონტროლი.

შეკითხვებია თავად აქტივისტებისა და მათი მრჩევლების მიმართაც. რამდენად გამჭვირვალე იყო მათი დაფინანსება და რამდენად შემოიფარგლება ოფიციალურად გაცხადებული ინფორმაციით? სად გადის ზღვარი გარემოს დაცვასა და პროექტმებრძოლეობას შორის? რატომ ხდება საზოგადოებაში ცრუ და ტენდენციური ინფორმაციის მიზანმიმართული გავრცელება? ხომ არ იყო გარე არასახელმწიფოებრივი ძალების ჩარევა? რატომ არ არის მსგავსი რადიკალური პროტესტი თუნდაც გარემოს უფრო დამაზიანებელი პროექტების მიმართ? და ა.შ.

შეკითხვები ისმის ასევე ექსპერტებისა და სპეციალისტების საქმიანობის და პროექტების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ შესაძლო მიკერძოების მიმართ. ამას ხშირად ხელს უწყობს თავად მეცნიერებისა და პროფესიონალების ნაკლები პრინციპულობა და ნაკლები აქტიურობა ან სრულიად აშკარა მიკერძოება. სახელმწიფოს დაფინანსე-

ბული ორგანიზაციები შეიძლება, ერთი მხრივ, მიდრეკილი იყვნენ სამთავრობო პოზიციების დაცვისკენ და დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის ნაწილი დაკარგონ, მეორე მხრივ, ყველაფრის „ექსპერტების“ სიმრავლე და კატეგორიულობა ასევე პრობლემებს მიუთითებს აქტივისტების მხარეს.

აუცილებელია, საზოგადოებამ შეიმუშაოს მექანიზმები, რაც მინიმუმამდე დაიყვანს როგორც პოლიტიკოსების, ასევე გარემოსდამცველების და მეცნიერების თუ სპეციალისტების არამართებული ინტერესების გავლენას სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. ასეთი მექანიზმების და სიცხადის გარეშე ძნელია ეჭვების არიდება და თანამშრომლობა.

ნორმატიული ბაზის სისუსტე

ენერგეტიკული პროექტების გარშემო დაპირისპირება დიდწილად განპირობებულია საკანონმდებლო და ნორმატიული გარემოს ხარისხით და მათი აღსრულების ხარვეზებით:

კანონში კერძო თანამშრომლობის შესახებ ენერგეტიკული ობიექტებისათვის დაშვებულია გამონაკლისი და პროექტების უმეტესობა გაცემულია ისეთი პროცედურებით, რაც, მიუხედავად კონკურენციის ელემენტებისა, ხელშეკრულების პირობებში სუბიექტურობის დიდ არეალს ტოვებს და კორუფციის ეჭვებს ბადებს, მით უმეტეს, როდესაც ობიექტების მშენებლობის საჭიროება არ არის გამყარებული ენერგეტიკის განვითარების გეგმებით.

მოუგვარებელია ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის ზედამხედველობისა და ხარისხის უზრუნველყოფის ნორმატიული გარემო - ამაზე თავად ჰიდროინჟინრები საუბრობენ და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივებიც აქვთ მომზადებული.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამართლებრივი ჩარჩო არსებითად შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, თუმცა დარჩა ხარვეზები მის მეთოდურ უზრუნველყოფასა და აღსრულებაში. არ არის დადგენილი პროექტებში ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის თუ მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლის, რისკების შეფასების მეთოდიკები,

გეოლოგიური თუ სეისმური კვლევების კრიტერიუმები და სხვა ტექნიკური საკითხები. არ ხდება სათანადოდ ეკონომიკური, სოციალური, ენერგეტიკული უსაფრთხოების სარგებლების შეფასება და გარემოსთვის მიყენებულ დაგეგმილ და ალტერნატიულ ზიანთან შედარება. გარემოსდაცვითი არგუმენტები კი, მიუხედავად მათი წონადობისა, აყვანილია აბსოლუტის კატეგორიაში. გზშ-ის პროცედურების არამკაფიო დაცვა, გარემოს დაცვის ანგარიშების ხარვეზები და მეთოდიკის არასრულყოფილება საბაბს იძლევა, რომ მათი გამოსწორების მაგივრად ძალისხმევა წარიმართოს მთელი პროცესის დისკრედიტირებისა და საბოლოოდ პროექტების დასაბლოკად.

სამეცნიერო და პროფესიული ინსტიტუციების სისუსტე

ნამახვანჰესის დებატებში სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ და ინსტიტუტებმა ვერ შეასრულეს აზრის ლიდერის ფუნქცია. მათი გავლენა არ იგრძნობოდა არც აქტივისტების და არც სამთავრობო გამოსვლებსა და ქმედებებში. კამათი ენერგეტიკულ, საინჟინრო, ეკონომიკურ, გეოლოგიის, ჰიდროლოგიის, სეისმოლოგიისა და გარემოს საკითხებზე მიმდინარეობდა არა პროფესიულ გარემოში, არამედ – სატელევიზიო დებატებში. ვერ შეიქმნა გარემო, სადაც პროფესიონალები თავიანთი მონაცემებისა და კვლევების საფუძველზე წარადგენდნენ და მოისმენდნენ არგუმენტებს და პასუხს გასცემდნენ (თუნდაც უმართებულო) შეკითხვებს. საჯარო სივრცეში პროფესიონალების ადგილი დაიკავეს ძირითადად ტენდენციურად განწყობილმა არაპროფესიონალებმა, ვინც პროტესტის მუხტის გაღვივებით და განსხვავებული აზრის დისკრედიტაციით იყო დაკავებული.

გარდა საჯარო დაპირისპირებისგან თავის არიდებისა, პროფესიონალების სისუსტე ასევე მოუმზადებლობის შედეგიც იყო. დამაჯერებელი პასუხი არ ჩანდა მრავალ შეკითხვაზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ადრე ჩატარებული კვლევების დასკვნას, რომ ენერგეტიკული დარგის ანალიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფა საფუძვლიანად მოიკოჭლებს. დარღვეულია კავშირი მეცნიერებასა და ინდუსტრიას შორის. აკადემიური ინსტიტუტები არასაკმარისად მუშაობენ ქვეყნისთვის აქტუალურ ინტერდისციპლინურ ამოცანებზე და დაკარგული აქვთ რელევანტობა და პრესტიჟი, რის გამოც საზოგადოება მოწყვლადი ხდება ფსევდოექსპერტების მიერ დეზორიენტაციის და პირადი მოსაზრებების ან არაკვალიფიციური „კვლევების“ გამოყენებით მანიპულირების მიმართ.

პოლიტიზება და პოპულიზმი

ნამახვანჰესის მოვლენებშიც მკაფიოდ გამოჩნდა პოლიტიკური პოპულიზმის ნიშნები და მოსახლეობის სენტიმენტებზე აპელირება პროფესიული და ფაქტობრივი სიმართლის საზიანოდ.

პოპულისტურ სენტიმენტებს და „პატრიოტულ“, ზოგჯერ ქსენოფობიურ და რელიგიურ არგუმენტებს აქტიურად იყენებდნენ პროექტის მოწინააღმდეგეები და ასევე ყოფილი და მოქმედი პოლიტიკოსები, ვინც ამ გზით ეცადა დივიდენდების მიღებას. ჩანდა სოციალისტური მემარცხენე იდეოლოგიის ზეგავლენა და რიონის მცველების პოლიტიკურ მოძრაობად ჩამოყალიბების მცდელობაც. ვერც ზოგიერთმა ევროპარლამენტარმა თუ პატივსაცემმა დასავლურმა ორგანიზაციამ დაიცვა თავი მიკერძოებული ინფორმაციის საფუძველზე არაობიექტური ჩარევისგან, რამაც ევროპული ინსტიტუციების მიმართ სკეფსისის კვალი დატოვა. რომ არა რიონის მცველების ჰომოფობიური განცხადებები, შესაძლოა, ეს თანამშრომლობა უფრო შორს წასულიყო.

პოლიტიკური პოპულიზმი ჩანდა ასევე სამთავრობო ზედაპირულ განცხადებებში, მათ შორის იყო ხელშეკრულების პირობებისა და პროექტის დიზაინის გადახედვის, მიწის არგადაცემის, მშენებლობის სახელმწიფოს მიერ განხორციელების და სხვა დაპირებები.

მსგავსი დამაზიანებელი ტენდენცია მოითხოვს საზოგადოების მეტ მგრძნობელობას და პროფესიონალების მეტ პრინციპულობას.

უცოდინარობა და დებატების დაბალი კულტურა

გარემოსდაცვითი არგუმენტები ადვილად იპყრობს ადამიანების ყურადღებას, მაშინ როდესაც ტექნიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოების თუ სხვა საკითხების გაანალიზებას მეტი ცოდნა და ძალისხმევა ესაჭიროება.

საინფორმაციო სივრცის გაჯერებას უხარისხო და ტენდენციური ინფორმაციით ხელი შეუწყო სწორედ მხარეების და ფართო საზოგადოების დაბალმა ინფორმირებულობამ. გამოვლინდა ენერგეტიკასთან დაკავშირებული საინჟინრო-ტექნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური, უსაფრთხოების, ინვესტირების, გარემოს დაცვის თუ სხვა საკითხების დაბალი ცნობადობა. ეს ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა შეთქმულების თეორიებს, ირაციონალურ შიშებს, და ნებისმიერ აბსურდულ არგუმენტს წონას აძლევდა. ამის მაგალითებია „მკვლელი ჰესები“, რომლებსაც მთელ მსოფლიოში ანგრევენ, „დაუძლეველი სეისმური საფრთხეები“, „34-მეტრიანი ტალღა“, „კარსტულ მღვიმეებში დაკარგული წყალი“, „ურანის საბადოები“ და სხვა მრავალი.

ნამახვანჰესის მოვლენებმა გამოაჩინა ძირეული ხარვეზები საჯარო განხილვების კულტურაშიც. კომუნიკაციისა და კონსტრუქციული დიალოგის უუნარობა, დადგენილი წესებისა და პროცედურების უპატივცემულობა,

განსხვავებული აზრების მიუღებლობა, რეგლამენტისა და წესების უგულებელყოფა, უპატივცემულობა და შეურაცხყოფა ჩვეული მოვლენა გახდა.

ამ ფონზე, პროექტის ჩაშლის შემდეგ, დადებითი ტენდენცია გააჩინა ენერგეტიკული გაერთიანების მონაწილეობით მიმდინარე ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვამ. მიუხედავად უამრავი ხარვეზისა, მიმდინარე პროცესმა ძალაუნებურად გამოიწვია სწორი მექანიზმების ამოქმედება, თუმცა ცივილიზებულ პროცესამდე ჯერ კიდევ შორია.

გარემოსდაცვითი ფუნდამენტალიზმი თუ ჰიბრიდული ჩარევები?

მიუხედავად დიალოგისთვის დეკლარირებული მზაობისა და „ჰესების წინააღმდეგი არ ვართ“-განცხადებებისა, რეალურად ჩამოყალიბდა ერთგვარი გარემოსდაცვითი ფუნდამენტალიზმი, რომლის მიხედვითაც ხდება გარემოსდაცვითი თუ სოციალური ფაქტორების აბსოლუტიზაცია, მოსახლეობის წინასწარ შემზადება ჰესების საწინააღმდეგოდ ტენდენციური და არასწორი ინფორმაციის გამოყენებით. მოხდა ბუნების სიყვარულისა და პატრიოტიზმის მონოპოლიზება და მართებული თუ უმართებულო არგუმენტებისა და ქმედებების პროექტის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენება. თუმცა ნამახვანჰესის და ანალოგიურ ისტორიებს ბევრად უფრო ფართო შედეგები აქვს, ვიდრე კონკრეტული პროექტის ჩაშლა. ამ პროცესში დავინახეთ:

- **ცოდნისა და სიმართლის დისკრედიტაცია და საზოგადოების დეზორიენტაცია ცრუ ინფორმაციით;**
- **საპროტესტო მუხტის შექმნა და გამოყენება პოლიტიკური მიზნებით (მინისტრის და პრემიერის გადადგომის მოთხოვნები, ქუჩების გადაკეტვის და სხვა მუქარები და ა.შ.)**
- **სახელმწიფო სტრუქტურებზე მორალური ზეწოლა და მათი დისკრედიტაცია (პოლიციის წინ დაჩოქილი ქალი, ხმაურის კამპანია);**
- **პროფესიული სისტემების, მეცნიერებისა და პროფესიონალების დისკრედიტაცია;**
- **მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების გაფუჭების მცდელობა, ქსენოფობიური გრძნობების გაღვივება და დასავლეთის იმიჯის შელახვა;**
- **ე.წ. ქურდული სამყაროს ჩარევა და ადგილობრივი მოსახლეობის ბულინგი და სხვ.**

ყველა ეს გარემოება არყევს და ასუსტებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მედეგობას და ჰიბრიდული შეტევის ელემენტებად შეიძლება, ჩაითვალოს, რაც საამაყო მიღწევა იქნებოდა მტრული სპეცსამსახურებისთვის. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩვენივე უგუნურებისა და თვითდაზიანების შედეგი იყოს.

შეჯამება და შემდეგი ნაბიჯები

ნამახვანჰესის მოვლენებში დავინახეთ, რომ ჩვენი საზოგადოება არასაკმარისი ცოდნით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, ინსტიტუციური და პროფესიული უნარებით, განუვითარებელი კვლევებით და პროფესიული პროცესებით, მოწყვლადია შეცდომებისა და არასახელმწიფოებრივი ჩარევების მიმართ და ვერ იცავს სტრატეგიულ პროექტებს. მხარეებმა ქვეყნის ინტერესების ძიების, ერთმანეთთან დიალოგისა და კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის ნაცვლად, არჩიეს, ერთი მხრივ, უგულებელყოფის და წაყრუების, ხოლო მეორე მხრივ უკომპრომისო ბრძოლის მეთოდები. სამწუხაროდ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში ვერ დამკვიდრდა აზრი, რომ ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, შედეგებთან ბრძოლაზე უფრო პროდუქტიულია მათ გამომწვევ მიზეზებზე მუშაობა, რაც მკვეთრად განგვასხვავებს ევროპული განვითარებული საზოგადოებისგან თავისი ინსტიტუციებით.

ცვალებადი საფრთხეებით აღსავსე გარემოში აუცილებელია სწრაფი მობილიზება და ძალისხმევის მიმართვა სწორი საზოგადოებრივი მექანიზმებისა და გამართული ინსტიტუციების ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ მშველელი რგოლის როლი შეიძლება შეასრულოს ენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმებმა, რომლებიც სწორედ ევროპული სტანდარტის კანონმდებლობის, პროცედურების, წესებისა და მათი აღსრულების მექანიზმების დანერგვას გულისხმობს.

ნამახვანჰესის აშენების საკითხი დღესაც აქტუალურია და არ გამქრალა. პირიქით, არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და ომის ფონზე, კიდევ უფრო კრიტიკული ხდება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და განვითარების საკითხები. სწორედ ახლა არის ამ თემების ცივი გონებით განხილვის დრო. აუცილებელია, მშენებლობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, ეკონომიკურ, გარემოს, სოციალურ და უსაფრთხოების საკითხებზე, ისევე როგორც აქ ჩამოთვლილ სისტემურ პრობლემებზე, მიმდინარეობდეს საფუძვლიანი და პროფესიული დებატები, კვლევები და საკანონმდებლო თუ მეთოდური მუშაობა. ამაში თავიანთი პრინციპული როლი უნდა შეასრულონ სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ და ინსტიტუტებმა, რომლებიც აქტიურად უნდა მუშაობდნენ გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, ეკონომიკური კვლევების, ენერგეტიკის დაგეგმვის, გარემოს კვლევის და სხვა აქ ჩამოთვლილ თუ გამოტოვებულ საკითხებზე. სხვაგვარად, წარუმატებლობა და მარცხები გარდაუვალია.